


თბური მანქანები

II სემესტრი, 2017-2018 წელი (დასკვნითი გამოცდის ნიმუში)

კითხვა 1

ნახაზზე წარმოდგენილია ოტოს თერმოდინამიკური ციკლი. რომელი ფორმულით გამოითვლება მუშა სხეულისთვის მიწოდებული სითბო?



აირჩიეთ ერთი:

- a. $q = c_v(T_3 - T_2)$.
- b. $q = c_v(T_2 - T_1)$.
- c. $q = c_v(T_3 - T_4)$.
- d. $q = c_v(T_4 - T_1)$.

კითხვა 2


რა ფორმის ენერგიას იძლევა პირდაპირი მოქმედების თბური მანქანა?

აირჩიეთ ერთი:

- a. პირდაპირი მოქმედების თბური მანქანა იძლევა მექანიკურ ენერგიას.
- b. პირდაპირი მოქმედების თბური მანქანა იძლევა პოტენციურ ენერგიას.
- c. პირდაპირი მოქმედების თბური მანქანა იძლევა შიგა ენერგიას ენერგიას.
- d. პირდაპირი მოქმედების თბური მანქანა იძლევა ელექტრულ ენერგიას.

კითხვა 3

ნახაზზე წარმოდგენილია კარბურატორიანი შიგა წვის ძრავას თერმოდინამიკური ციკლი P, V დიაგრამაზე. რომელი პროცესში მიმდინარეობს მუშა სხულიდან სითბოს ართმევა?




აირჩიეთ ერთი:

- a. d-a პროცესში.
- b. b-c პროცესში.
- c. c-d პროცესში.
- d. a-b პროცესში.

კითხვა 4

ნახაზზე წარმოდგენილია დიზელის იდეალური თერმოდინამიკური ციკლი P, V დიაგრამაზე. 1-a-b-2-1 ფართობი შეესამამება:



აირჩიეთ ერთი:

- a. 1კგ ჰაერის კუმშვაზე დახარჯულ მუშაობას.
- b. 1კგ წვის პროდუქტების გაფართოების მუშაობას.
- c. 1კგ მუშა ნარევის კუმშვაზე დახარჯულ მუშაობას.
- d. ციკლის სასარგებლო მუშაობას.

კითხვა 5

ტრინკლერის თერმოდინამიკურ ციკლში მუშა სხულის გაფართოების პროცესი შეესაბამება რეალურ ძრავაში:

აირჩიეთ ერთი:

- a. მუშა სვლას.
- b. მუშა ნარევის წვის პროცესს.

- c. ნამუშევარი აირების გამოშვების და წნევის ვარდნის პროცესს.
- d. მუშა ნარევის შეწოვის პროცესს.

კითხვა 6


წინასწარი გაფართოების ხარისხის მნიშვნელობა დიზელის ციკლში გამოითვლება ფორმულით, თუ საწყისი პარამეტრები აღნიშნულია ინდექსით „1“:

აირჩიეთ ერთი:

- a. $\rho = \frac{v_3}{v_2}$
- b. $\varepsilon = \frac{v_1}{v_2}$
- c. $\lambda = \frac{p_3}{p_2}$
- d. $\rho = \frac{p_2}{p_1}$

კითხვა 7

ნახაზზე წარმოდგენილია აირტურბინული დანადგარის სქემა. რომელი პოზიცია შეესაბამება საქშენ აპარატს?



აირჩიეთ ერთი:

- a. 2.
- b. 1.
- c. 4.
- d. 3.

კითხვა 8


რას ითვალისწინებს რეალური აირტურბინული დანადგარების შიგა ფარდობითი მ.ქ.კ.-ს მნიშვნელობა?

აირჩიეთ ერთი:

- a. შეუქცევად დანაკარგებს ტურბოდანადგარების გაზსაველებში ხახუნსა და გაზის გრიგალური ჭავლების წარმოქმნაზე.
- b. შეუქცევად დანაკარგებს საკისრებში, რედუქტორებსა და სხვა მოწყობილობებში ხახუნზე.
- c. გარემოში თბურ დანაკარგებს.
- d. აირტურბინული დანადგარების შექცევადი თერმოდინამიკური ციკლის ეფექტურობას.

კითხვა 9

ნახაზზე წარმოდგენილია ტურბორეაქტიული ძრავას სქემა. რომელი პოზიცია შეესაბამება კომპრესორს?




აირჩიეთ ერთი:

- a. 4.
- b. 1.
- c. 5.
- d. 2.

კითხვა 10

წარმოდგენილი ნახაზებიდან რომელი შეესაბამება სარაკეტო ძრავების იდეალურ თერმოდინამიკურ ციკლს?



აირჩიეთ ერთი:

- a. ბ).
- b. გ).



c. 3).



d. 4).